91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №15 (7114) 1 აგვისტო 2024 წელი

2024 წლის 26 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა!

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე, ისტორიაში პირველად, ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმის მიცემას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებს ☞3

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი თეატრალური იმერეთი—2024

☞4

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2

წინ მრავალი ვნებათაღელვა გველის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები გაიხსნა!

26 ივლისს, პარიზში ზაფხულის ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ გაიხსნება.

თამაშებში მონაწილეობას ღებულობს საქართველოს 28 სპორტსმენი.

ვუქომაგოთ ჩვენს ოლიპიელებს!

წარმატებები ვუსურვოთ საქართველოს წარგზავნილებს პარიზში!

ჩვენთან არს ღმერთი!

☞6,8

საუკუნის შემდეგ გოფანმთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა აღესრულა...

მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკი „ნინველები“

საზაფხულო ბანაკი, 25 ივლისს, ქალაქ თერჯოლაში, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში გაიხსნა.

დაწვრილებით მომავალ ნომერში.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის, ისევე როგორც ჩვენი მეზობელი რაიონების ცალკეულ სოფლებს, თავს სამჯერ დაატყდა სხვადასხვა სახის სტიქიური მოვლენა. იანვრის თვეში ძლიერმა ქარებმა, თებერვალში კი წყალდიდობებმა მნიშვნელოვნად დააზარალა საცხოვრებელი სახლები, საგზაო ინფრასტრუქტურა, ხიდ-ბოგირები. 9 ივნისს მოსულმა სეტყვამ კი საგრძნობი ზიანი მიაყენა ქალაქ თერჯოლის, ღვანკითის, რუფოთისა და ალისუბნის მოსახლეობის 1500-მდე ოჯახს. კერძოდ: დაზიანდა ერთწლიანი კულტურის ფართობები, ვაზი და ხეხილი.

ჩვენი გაზეთი არაერთხელ იტყობინებოდა ამ სტიქიური მოვლენების თაობაზე, რომელთა მიერ მიყენებული ზარალის მნიშნელოვანი ნაწილის აღმოფხვრა უკვე დაწყებულია. ეს განსაკუთრებით ითქმის ქარებისა და წყალდიდობისაგან მოყენებულ დაზიანებებზე. აღნიშნული მიმართულებით გამოყოფილია მილიონ ას ხუთი ათასი ლარი. აქედან, სამუშაოები უკვე აქტიურად მიმდინარეობს სახლების სახურავების სარეაბილიტაციოდ. მალე ტენდერების შედეგების გათვალისწინებით დაიწყება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც.

ამ ეტაპზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში 10 კერძო და 5 საერთო საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ამ დღეებში, საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროცესი ქალაქ თერჯოლასა და სოფელ თუზში, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ პირადად მოინახულა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძესთან ერთად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 15 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციისათვის, ცენტრალური ბიუჯეტიდან 270 000 ლარამდე თანხა დაიხარჯება.

ობიექტებზე მერთან ერთად იმყოფებოდნენ ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ გოდერძი თურქაძე, მერის წარმომადგენლები კონსტანტინე ძოწენიძე და მამუკა გოგბერაშვილი.

სიახლე ენერგომომარაგებაში

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალთერჯოლაში მზის სისტემის ელექტროსადგური ამოქმედდა. საწარმო, პირველ ეტაპზე, 200000 კილოვატ ელექტრო ენერგიას გამოიმუშავებს.

ელექტროსადგური კომპანია „ჯითი სოლარმა“ დაამონტაჟა. პროექტი მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გარდა, მუნიციპალიტეტში ბიზნესის ხელშეწყობას ემსახურება.

კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ორი წლის შემდეგ ინვესტიციის მოცულობა გაორმაგდება, რეგიონში არსებული დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, მათი თქმით, ელექტრო სადგურების მშენებლობა გაგრძელდება.

ახალთერჯოლის ელექტროსადგურის გახსნას, მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

თერჯოლამ საქართველოს სამბისტ კადეტებს უმასპინძლა

14 ივლისს, თერჯოლის სპორტის სასახლემ, საქართველოს პირველობას უმასპინძლა სამბოში, კადეტებს შორის. შეჯიბრი 2008-2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის გაიმართა და მასში საქართველოს მასშტაბით, 100-მდე მონაწილე იყო ჩართული. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ დააჯილდოვა, მერის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელთან, მაკა ასათიანთან ერთად.

ტურნირის მასპინძლის, თერჯოლელი სპორტსმენების შედეგები:

ნიკა ბრეგვაძე 64 კგ, წონით კატეგორიაში გახდა საქართელოს ჩემპიონი!

თამარ ზარნაძე (52 კგ)—მეორე ადგილი. ნათია სვანიძე (47 კგ) და დიანა ქასრაშვილი (59 კგ)—მესამე ადგილები.

ნიკა ბრეგვაძე მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართება კვიპროსში.

ჩემპიონატი კადეტებს შორის, საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

ცხელი ზაფხულის დღეებში

თერჯოლაში, ამ ზაფხულისთვის, ბევრი საინტერესო მასობრივი ღონისძიება დაგეგმა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ. სპორტულ შეჯიბრებებთან ერთად იმართება სხვადასხვა სახის კონცერტები, დატვირთულია სკვერები, მინი სპორტული მოედნები და სხვა მასობრივი თავშეყრის ადგილები.

გასულ თვეში ჩატარებული არაერთი ასეთი სახის ღონისძიებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო მომღერალ ნუკრი კაპანაძის საიუბილეო კონცერტი, რომელიც ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში ჩატარდა.

მშობლიური იმერეთიდან, ქალაქ თერჯოლიდან აიღო სტარტი ნუკრი კაპანაძის საიუბილეო კონცერტების ტურნემ.

კონცერტი, სახელწოდებით „სიმღერით ნათქვამი“, თერჯოლელი მაყურებლისთვის ქართული ესტრადის მომღერალმა, უცვლელ სასცენო პარტნიორთან, ნინო გულიაშვილთან და ბენდთან ერთად წარმოადგინა.

ერთსაათიან მუსიკალურ ღონისძიებაზე, რომელიც შიო აბრახამიას მიჰყავდა, წარმოდგენილი იყო მომღერლის რჩეული რეპერტუარი. მაყურებელს საშუალება მიეცა, ნუკრი კაპანაძის კარგად ნაცნობი და საყვარელი სიმღერები, ასევე ახალი ჰიტების არაჩვეულებრივი ვერსიები მოესმინა.

კმაყოფილმა მაყურებელმა კარგად ნაცნობი მომღერალი სოყვარულითა და მოწონების აპლოდისმენტებით გააცილა სცენიდან.

ნუკრი კაპანაძის საიუბილეო კონცერტი, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და თერჯოლის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი მხარდაჭერით, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში, ამფითეატრის სცენაზე გაიმართა და მას მოქალაქეებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ესწრებოდნენ.

26 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა!

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე, ისტორიაში პირველად, ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმის მიცემას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებს

მომავალი არჩევნების ამ სიახლეებზე და დღემდე ამომრჩეველთა ინფორმირებისათვის განხორციელებულ აქტივობებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ესაუბრება ჩვენი გაზეთის ჟურნალისტს თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ქალბატონი ნაზი სირაძე.

საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ მიმდინარე წლის 15 მარტს მიღებულ იქნა განკარგულება „N49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის 2023 წლის 7 თებერვლის N01/2023 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, აღნიშნული განკარგულების შესაბამისად თერჯოლის ტერიტორიაზე შეიქმნა 30 საარჩევნო უბანი.

24 საარჩევნო უბანზე არჩევნები ჩატარდება ელექტრონული ტექონოლოგიების გამოყენებით, ხოლო დანარჩენ 6 უბანზე კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ტრადიციული წესით. ეს უბნებია: №09 გოდოგანი, №10 ნაგარევი, №18 კვახჭირი, №19 კვახჭირი, №20 ნახშირღელე, №27 ჭოგნარი.

ელექტრონულ არჩევნებში გამოყენებული იქნება სამი სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობა: ვერიფიკაციის აპარატი, ხმის დათვლის ელექტრონული აპარატი და პლანშეტი.

ვერიფიკაციის აპარატი წარმოადგენს ელექტრონულ საშუალებას, რომელშიც ჩატვირთულია კონკრეტული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიები. ის წარმოადგენს ავტომატიზებულ საშუალებას, რომელმაც ჩაანაცვლა მატერიალური სახის ამომრჩეველთა სამაგიდო სია. ყველა საარჩევნო უბანში ვერიფიკაციის აპარატების რაოდენობა განისაზღვრება ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით.

ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი, საშუალებას იძლევა ხმის დათვლის კონკრეტულმა აპარატმა წაიკითხოს მხოლოდ იმ საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენებზე დატანილი ინფორმაცია, რომელ საარჩევნო უბანზეც არის განთავსებული კონკრეტული ხმის დათვლის აპარატი. გარდა ამისა, ჩატვირთული პროგრამა უზრუნველყოფს აპარატმა მიიღოს და შესაბამისად ასევე აღრიცხოს ყუთში მოთავსებული ნამდვილი და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა და დათვალოს სუბიექტების მიერ მიღებული ხმები.

ეს აპარატები მუშაობენ ერთმანეთის დამოუკიდებლად და არ არიან ინტერნეტთან დაკავშირებული.

მესამე ელექტრონული აპარატი (პლანშეტური კომპიუტერი) რომელიც გამოყენებული იქნება საარჩევნო უბანზე წარმოადგენს მოწყობილობას, რომელშიც ჩატვირთულია აპლიკაციები და საარჩევნო უბნიდან ცესკოსთვის მონაცემების გადაგზავნას ინტერნეტის საშუალებით უზრუნველყოფს.

ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ექსპორტირებული ინფორმაციის გადაცემა ცესკოსთვის, ხორციელდება პლანშეტური კომპიუტერის საშუალებით, ამავე მოწყობილობის საშუალებით ხორციელდება საუბნო საარჩევნო კომისიებიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ფოტოასლების ცესკოსთვის მიწოდება.

იმ საარჩევნო უბნებზე სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ტარდება. ამომრჩეველს დახვდება ახალი სახის ბიულეტენი. საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და სპეციალური მარკერის გამოყენებით ავსებს საარჩევნო ბიულეტენს, შევსების შემდეგ ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში და სპეციალურ ჩარჩო- კონვერტში მოთავსებულ ბიულეტენს ათავსებს ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ აპარატში.

ცესკოს მიერ 2023 წელს ჩატარებული ელექტრონული არჩევნებით გამოიკვეთა ელეტრონული აპარატების უპირატესობები: სწრაფი ვერიფიკაცია,რიგების არ არსებობა, შედეგების უმოკლეს ვადაში გასაჯაროვება და რაც მთავარია ხმის ფარულობა და ადამიანური გადაცდომების არ არსებობა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ, ტექნოლოგიურ სიახლეებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ინფრმიერების კამპანიის აქტიური განხორციელება წელიწადნახევრით ადრე დაიწყო.

აღნიშნული კამპანიიის ფარგლებში თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიამ შეხვედრები გამართა სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლებთან, კერძოდ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპები (566),საჯარო სკოლების პედაგოგები (278), თერჯოლის პოლიციის რაიონული განყოფილება (35), საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური თერჯოლის სახანძრო -სამაშველო განყოფილება(23), დაცვის პოლიციის განყოფილება (34),სოციალური მომსახურების სააგენტო (10), სოფლის განვითარების სააგენტოს თერჯოლის რეგიონალური სამსახური,საკონსულტაციო ცენტრი (24) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური თერჯოლის სახანძრო-სამაშველო განყოფილება(23), გადაუდებელი დახმარების ცენტრი (17),იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი „იმერმედი“ (60),საქართველოს კლინიკები თერჯოლის ჰოსპიტალი (32). დამსწრეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის მზადების პროცესზე, ტექნოლოგიურ სიახლეებსა და ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე, გაიმართა იმიტირებული კენჭისყრაც.

მიმდინარე წლის თებერვალში N49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიამ საინფორმაციო შეხვედრები გამართა ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებთან, კერძოდ: სს „ენერგო - პრო ჯორჯია“ (40), შპს „წყალმომარაგების კომპანია თერჯოლის სერვისცენტრი “(22), შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ (32), შპს „ბორანი“ (23), შპს „გამმაუდი“ (22), სსეპ „ჯორჯია გენერაცია“ (35), შპს „მეღვინეობა ხარება“(35), შპს „საქმილსადენმშენი“(13), შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“(90). საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სხვადასხვა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის მზადების პროცესზე, ტექნოლოგიურ სიახლეებსა და ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე, გაიმართა იმიტირებული კენჭისყრაც.

ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციამ მოაწყო საარჩევნო ტექნოლოგიების საყოველთაო დემონსტრირება, აღნიშნული პროექტის მიზანი იყო ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება და ხმის მიცემის პროცედურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროექტი 6 ივლისიდან 28 ივლისიის პერიოდში განხორციელდა. იგი ყოველ შაბათ-კვირას 11 საათიდან 18:00 საათამდე ტარდებოდა. მონაწილეობის მსურველები რეგისტრირდებონენ შესაბამის ლინკზე https://calendly.com/d/ck3d-mpp-4v6.

აღნიშნული პროექტის განხორციელება მოხდა, თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში, მისამართი: თერჯოლა რუსთაველის N117 (კომისიის სხდომათა დარბაზი). ამომრჩევლები აქ იღებდნენ საარჩევნო ტექნოლოგიების საყოველთაო დემონსტრირებაში მონაწილოებას, ხმის მიცემის პროცედურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით. დაინტერესება და აქტივობა მაღალი იყო, მონაწილეობა მიიღეს იმ ამომრჩევლებმაც, რომლებიც წინასწარ არ დარეგისტრირებულან შესაბამის ლინკზე. სულ მონაწილეთა რაოდენობამ 2500-მდე ამომრჩეველი შეადგინა.

გარდა ამისა, თერჯოლის საოლქო კომისიაში განხორციელდა პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები პოტენციური, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები, პოტენციური საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისათვის“.

8 ივლისიდან თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროექტი „ცესკოს საარჩევნო სკოლა“. პროექტის უმთავრეს მიზანს საარჩევნო საკითხებთან და განსაკუთრებით,ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მონაწილეების ცნობიერების ამაღლება, ხოლო მეორე მხრივ პოტენციური საარჩევნო ადამინისტრატორების გადამზადება წარმოადგენს.

მოვუწოდებთ ამომრჩევლებს, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო ტექნოლოგიების საყოველთაო დემონსტრირების პროცესში და გაეცნონ საარჩევნო ტექნოლოგიებს.

ესაუბრა ჟუჟუნა ცხადაძე

P.S. ამ დღეებში თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისიის შენობაში ჩატარდა მორიგი აქტივობა—მოეწყო იმიტირებული არჩევნები.

იმიტირებულ არჩევნებზე იმ დღეს მონაწილეობა რამდენიმე ასეულამდე პირობითმა ამომრჩეველმა მიიღო.

მათ ერთხმად დადებითად უპასუხეს კითხვას—გაუადვილდათ თუ არა კენჭისყრაში მონაწილეობის პროცესი ძველ წესთან შედარებით.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო კამპანიის პერიოდში, საარჩევნო სუბიექტების ფასიანი და უფასო რეკლამების განსათავსებლად „თერჯოლის“ მიერ გამოყოფილი ფართების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, ძალაშია არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე.

ამასთან, განვმარტავთ, რომ გაზეთის გვერდებზე რეკლამების (მე-4 გვერდი—უფასო რეკლამა; მე-5 გვერდი—ფასიანი რეკლამა) განთავსების შესახებ საარჩევნო სუბიექტებმა მასალები უნდა წარმოადგინონ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლამდე ერთი კვირით ადრე, სხვა შემთხვევაში აუთვისებელი ფართები გადანაწილდება სხვა სუბიექტებზე.

ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილ A5 ფორმატზე დაწესებულია 150 ლარი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტი მოითხოვს დამატებით ფართს, ფასი დადგინდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით.

„თერჯოლის“ მორიგი ნომერი გამოვა 2024 წლის 15 აგვისტოს.

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
თეატრალური იმერეთი—2024

ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, 12 ივნისს, იმერეთის თეატრალურ კოლექტივებთან და მრავალრიცხოვან მაყურებლებთან ერთად საზეიმოდ გაიხსნა იმერეთის მე-15 საერთაშორისო საიუბილეო ფესტივალი—„თეატრალური იმერეთი 2024“.

ფესტივალი გახსნა და შეკრებილ საზოგადოებას ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა იმერეთის თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელმა, ლევან როხვაძემ, რომლის ძალისხმევით და ორგანიზატორობით 15 წელია ეს ფესტივალი წარმატებით მიმდინარეობს ჯერ როგორც თეატრალური იმერეთის ფესტივალი, 2016 წლიდან კი როგორც საერთაშორისო თეატრალური ფესტრივალი.

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, ქუთაისის მერია, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტი.

„იმერეთის საერთაშორისო ფესტივალი არის ჩვენი სავიზიტო ბარათი თეატრალურ სამყაროში. ფესტივალი წელს კიდევ უფრო მასშტაბურია. გარდა იმისა, რომ მონაწილეობენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თეატრები, მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ლიეტუვისა და მოლდოვას თეატრები.

თეატრის მოყვარულებს ძალიან საინტერესო ორი კვირა ელოდებათ. მათ ახალ სპექტაკლებს შევთავაზებთ. ასე რომ, ამ პერიოდში მთლიანად იმერეთის მასშტაბით, იქნება თეატრალური ზეიმი“—განაცხადა იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ. მან ფესტივალის გახსნა მიულოცა შეკრებილ საზოგადოებას, წარმატებები და გამარჯვება უსურვა თითოეულ თეატრალურ კოლექტივს.

საერთაშორისო ფესტივალი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „ჰელვერის ღამეს“ წარმოდგენით გაიხსნა.

მაყურებელს 17 სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა ჰქონდა, მათ შორის იყო როგორც კომედიური, ასევე ტრაგიკულ-დრამატული, ტრაგიკომიკური და სხვა ჟანრის სპექტაკლები.

ფესტივალის ორგანიზატორებმა, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში ზვიად შალამბერიძე საერთაშორისო ფესტივალის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დააჯილდოვეს სპეციალური პრიზით „ქართული თეატრის ქომაგი“.

12 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით ქუთაისში მართლაც რომ ხელოვნების ზეიმი იყო. ქუთათურ მაყურებლებს, მუნიციპალიტეტებიდან თავ-თავიანთი თეატრალების მხარდამჭერი და ამავე დროს თეატრისმოყვარული მაყურებლებიც შეუერთდნენ.

„ზღაპარი იგი... მართობს და მხიბლავს“

22 ივნისს მესხიშვილის თეატრში ავთო ვარსიმაშვილის ამ სახელწოდების ერთმოქმედებიანი პიესის პრემიერით შეუერთდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თეატრალური დასი საერთაშორისო ფესტივალს.

პრემიერას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, აგრეთვე საკრებულოს, მერიის და კულტურის სფეროს

წარმომადგენლები და სხვა მოქალაქეები დაესწრნენ.

კომედიური ჟანრის ანუ, შეიძლება ითქვას ზღაპარი დიდებისათვის სპექტაკლის რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის მამუკა ცერცვაძეს, სცენოგრაფი თემურ აბულაძეა, დეკორაციები მოამზადა კახა ფორჩხიძემ.

როლებს ასრულებენ: თინა—ნანა ამირანაშვილი, სოფიკო—ლელა ამირანაშვილი, ირაკლი—კოტე რობაქიძე (მოწვეული მსახიობი), ლიზა—მარიამ კირკიტაძე—თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე.

მოქმედება ძირითადად მიმდინარეობს ოჯახში, სადაც ასაკოვანი, ეტლსმიჯაჭვული ქალბატონი სოფიკო, ლამის ყოველდღიურად აღსასრულს ელოდება. გაუთხოვარი, ორმოც წელს მიტანებული ქალიშვილი სევდასა და მარტოობაში მყოფი უვლის დედას, ისე, რომ წლებია არავის ხვდება, სტუმრადაც არსად წასულა და არც მათთან მოდის ვინმე. უფერული, მომაბეზრებელი დღეები დედას სულ უფრო აფორიაქებს და იგი მწარედ განიცდის ქალიშვილის მდგომარეობას, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ შვილი მარტოდმარტო უნდა დატოვოს. ყოველდღიურ რუტინას უშუქობა კიდევ უფრო ამძაფრებს. დედა შვილთან საუბარს ცდილობს, აინტერესებს ჰყოლია თუ არა მას შეყვარებული და რატომ არ შედგა მათ შორის ქორწინება. თინა ცდილობს დედა დააიმედოს, რომ თითქოს უყვარდა, თუმცა შემდეგ დაცილდნენ... „ოჯახური ბედნიერება ყველაზე დიდი ბედნიერებაა“ ამბობს დედა და შვილს ურჩევს, რომ ამ ბედნიერების შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას... თუმცა თინას ყოველგვარი იმედი გადაუწურავს.

შემდეგ მოქმედება ისე ვითარდება როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე: ირაკლი, რომელიც თავის შეყვარებულთან შამპანურითა და ყვავილებით მიიჩქარის, შეცდომით მათი სადარბაზოს კარებთან აღმოჩნდება და გამალებით აკაკუნებს. დედა-შვილი არავის ელის, თუმცა თინა კარებს აღებს და უცნობის შეკითხვებს გულგრილად პასუხობს, რომ ის, ვისაც ეძებს, აქ არ ცხოვრობს. შემდეგ კი ყველაფერი დედის სურვილისამებრ ხდება, თინას ვითომდა წარსული „გამოგონილი“ სიყვარული უბრუნდება და ირაკლი თავს მშვენივრად გრძნობს „სასიდედროს“ თბილ ურთიერთობაში...

თინას, რომელიც დედის გამხნევებასა და გახარებას ცდილობს აჩვენებს მას, რომ თითქოს მართლა ესტუმრა მოულოდნელი სიყვარული და ახალი ცხოვრების დაწყების პერსპექტივაც გაჩნდა. დედა ბედნიერია, შვილის ბედნიერება და შვილიშვილის გამოჩენა მოხუცისათვის კიდევ უფრო დიდი სიხარულის საფუძველი გახდა, რომელსაც მთელი სიმდიდრე, რაც გააჩნდა საჩუქრად გადასცა, სინამდვილეში სრულიად უცხო გოგონას... ეს ყველაფერი კი სიკვდილის პირას მყოფი ადამიანისათვის ეტლიდან წამოდგომითა და ახალი წლის ბედნიერი დასაწყისით აღნიშნა უკვე სრულფასოვანმა ოჯახმა. იყო თოვლის ბაბუა და ნიშნობის ბეჭედი...

ზღაპრის ბოლო მართლა კეთილია და ასეც მოხდა. ლამაზად და ბედნირად შემოვიდა ახალი წელი ცოტა ხნის წინ უიმედოდ მყოფი დედა-შვილის ცხოვრებაში...

სიუჟეტი ისე ლამაზად ვითარდება, ცხადია, გულგრილს არავის დატოვებდა, მითუმეტეს, ნიჭიერი რეჟისორის მამუკა ცერცვაძის ნამუშევარი, რომელსაც ყოველთვის აქვს თავისი განუმეორებელი ხიბლი და გზას ადვილად იკვლევს მაყურებელთა გულებისაკენ, რომლებსაც უდიდეს სიამოვნებას აზიარებს. ასევე ითქმის მსახიობებზე.

ნანა ამირანაშვილის არაერთი ულამაზასი მთავარი როლი ახსოვთ წინა ფესტივალებიდანაც მაყურებლებს. არ შეიძლება გულგრილი დაგტოვოს როგორც მისმა სამსახიობო უნარმა და შესრულების თავისებურმა სიღრმემ, ასევე ფიზიკურმა სრულყოფილებამ. ასე მოხდა ამ სპექტაკლშიც.

საუკეთესოდ გაართვა თავი და სპექტაკლის წარმატებაშიც დიდია მოწვეული მსახიობის, წარმოშობით თერჯოლელი კაცის კოტე რობაქიძის როლი. ის მხურვალე აპლოდისმენტები, რომლითაც მაყურებლები აჯილდოვებდნენ სპექტაკლის მსახიობებს დიდწილად ეკუთვნოდა კოტე რობაქიძეს.

ეტლსმიჯაჭვული, სასოწარკვეთილი დედის დაუვიწყარი სახე შექმნა ლელა ამირანაშვილმა, თუმცა, როცა ბედნიერება შემოვიდა მათ ოჯახში, მისი გარდასახული სახე კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა. შვილის ბედნიერებისათვის ბრძოლაში გამარჯვება, მთელი სისრულით გაითავისა და მაყურებელთა სიმპათიაც დაიმსახურა.

სპექტაკლს ჰყავდა დებიუტანტი—ლიზი, ოჯახის ვითომ შვილიშვილი, რომელიც არაჩვეულებრივად განასახიერა მარიამ კირკიტაძემ. მან საუკეთესო სცენური მონაცემები გამოავლინა. მეტი სიცხადე, სიცოცხლე და ემოცია შემოიტანა სცენაზე და კარგადაც დაამახსოვრა თავი მაყურებელს.

სპექტაკლის შემოქმედებითი კოლექტივი მაყურებელმა მოწონების ნიშნად ხანგრძლივი აპლოდისმენტებით გააცილა სცენიდან.

24 ივნისს, თერჯოლის სახალხო თეატრმა ეს საფესტივალო სპექტაკლი თერჯოლის კულტურის ცენტრის დარბაზში გამართა.

სპექტაკლმა თერჯოლელ მაყურებელზე კვლავ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებლებსა და სპექტაკლის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა კულტურის სახლის დირექტორმა, ქალბატონმა ლია ბუსკივაძემ.

შეკრებილი საზოგადოების, თერჯოლის სახალხო თეატრის მსახიობებისა და რეჟისორ მამუკა ცერცვაძის მისამართით მადლიერება გამოხატა მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ:

„მოგესალმებით მეგობრებო ყველას, აქ—ამ დარბაზში მყოფ, როგორც მაყურებლებს, ასევე ამ ძალზე შთამბეჭდავი სპექტაკლის დამდგმელსა და შემსრულებლებს, ყველას, ვისაც მცირე წვლილიც კი მიუძღვის მის წარმატებაში.

მადლობა თითოეულს, ვინც უნარი და გამოცდილება კიდევ ერთხელ გამოავლინა.

მადლობა მარიამს, მისთვის პირველი სადებიუტო სპექტაკლი წარმატებული გამოდგა.

უსაზღვრო მადლობა მამუკას, ჩვენ მისგან ყოველთვის საუკეთესოს ველოდებით...

მუნიციპალიტეტის მერია მზად არის შემდგომშიც თანადგომისათვის.

გვიხარია, რომ ჩვენ ყველანი ერთად ვართ... ერთად კი ყველაფერი გამოგვივა. ასე ავაშენებთ კულტურის დიდ ცენტრს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თითოეული თერჯოლელისათვის“...

26 ივნისს ფესტივალის დასრულებას და შედეგების შეჯამებაგამოცხადებას ინტერესით ელოდნენ თეატრალური კოლექტივები და მათი გულშემატკივრები.

ჟიურის გადაწყვეტილება კი ასეთია:

1 ჯილდო გადაეცა ხონის სახალხო თეატრს სუკეთესო სპექტაკლისათვის „აზნაურები“, რეჟისორი გოჩა კაპანაძე.

2. ნომინაცია—საუკეთესო რეჟისურა დამსახურებულად გადაეცა თერჯოლის სახალხო თეატრის რეჟისორს მამუკა ცერცვაძეს. ნანა ამირანაშვილი კი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის დაჯილდოვდა.

სხვა ნომინაციები კი ასე გადანაწილდა:

ნომინაცია - საუკეთესო სცენოგრაფია - „გაკვეთილი“ ვანის სახალხო თეატრი და „პალატა N6“ სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატულ თეატრი;

ნომინაცია - საუკეთესო მუსიკალური გაფორმება - „ირინეს ბედნიერება“ (ბაღდათის სახალხო თეატრი);

ნომინაცია - ქალის მთავარი როლი - ირინე ჩხეიძე „ბამბაზიის სამოთხე“ (ხარაგაულის სახალხო თეატრი);

ნომინაცია - მამაკაცის მთავარი როლი - სოსო კოტორეიშვილი „ირინეს ბედნიერება“ (ბაღდათის სახალხო თეატრი);

საუკეთესო ახალგაზრდა მამაკაცი მსახიობი -გიორგი შენგელია „პალატა N6“ (სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი) და გიორგი ბუბუტეიშვილი „გაკვეთილი“;

საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი - თეონა ლომსიანიძე „ირინეს ბედნიერება“ (ბაღდათის სახალხო თეატრი) და მარიამ ბუტილი „პალატა N6“(სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი);

ნომინაცია - ქალის ეპიზოდური როლი - ლუიზა კიკნაძე „ბამბაზიის სამოთხე“ (ხარაგაულის სახალხო თეატრი);

მამაკაცის საუკეთესო ეპიზოდური როლი - დავით ჭყოიძე „ბამბაზიის სამოთხე“ (ხარაგაულის სახალხო თეატრი);

ნომინაცია - საუკეთესო ქორეოგრაფია -„ირინეს ბედნიერება¬ ბაღდათის სახალხო თეატრი და „ბაკულას ღორები“ წყალტუბოს სახალხო თეატრი;

ჟიურის სპეციალური პრიზი- საჩხერის სახალხო თეატრი „ნატვრის ხე“ და ტყიბულის სახალხო თეატრს „როგორ გადავიქეცი ამანათად“.

***

ერთი საინტერესო მომენტიც: თერჯოლას ამ ფესტივალის კიდევ ერთი გამარჯვებული ჰყავს—წყალტუბოს სახალხო თეატრის მსახიობი, წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე სერგო კირკიტაძე. იგი ხომ თერჯოლელია, სოფელ ძევრიდან, მან ჩვენთან მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში აიდგა ფეხი სამსახიობო გზაზე.

გავიხარეთ, რომ მას ფესტივალის ჟიურისა და ფესტივალის საორგანიზაციო გუნდის სპეციალური პრიზი გადაეცა წყალტუბოს თეატრის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში გალაქტიონის როლის ორიგინალურად შესრულებისათვის დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორებში“.

ვულოცავთ ფესტივალის თითოეულ მონაწილეს, ნომინაციაში გამარჯვებულებს, თერჯოლელ თეატრალებს და ორგანიზატორებს წარმატებულად ჩატარებულ საიუბულეო ფესტივალს.

მზია ცქიფურიშვილი

ჩვენებური—წარმატებული, ღირსეული და საამაყო

გიორგი მემანიშვილი თერჯოლელია. თერჯოლის №1 საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლე იყო. პედაგოგები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და ასეც მოხდა. გიორგი წარმატებული პედაგოგია და კარგია, რომ არა მარტო კონკრეტული სკოლა, სადაც ასწავლის, არამედ ქუთაისის პედაგოგიური საზოგადოება ამაყობს გიორგის მიღწევებით. გიორგი „ჩვენია“ და იგი, მიუხედავად იმისა, რომ თერჯოლა არ განიცდის წარმატებული პედაგოგების ნაკლებობას, არც თერჯოლელებს გვაწყენდა, მაგრამ იქნებ უკეთესიც არის, რომ დროებით წასული, თერჯოლაში ჩვენს გვერდით და ჩვენს თვალწინ გაზრდილი, კაცი ასეთია.

ახლა კი ვნახოთ როგორია გიორგი: აქვს ფიზიკის საბაკალავრო და მათემატიკის (დიფერენციალური განტოლებები) სამაგისტრო ხარისხები. არის საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმა CK-12-ის კონსულტანტ-მასწავლებელი; „STEAM მასწავლებელთა ასოციაციის“ და „STEM ინოვატორთა ასოციაციის“ ასოცირებული წევრი. პროგრამა „STEM მენტორების კურსის“ ერთ-ერთი მონაწილე, სადაც შეისწავლა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების საფუძვლები ღია კომპიუტერული პლატფორმა ARDUINO-ს გამოყენებით; სკოლებისათვის ქმნის ჭკვიან ელექტროზარებს და სასწავლო პროცესისათვის სხვა მნიშვნელოვან და საჭირო მოწყობილობებს. გავლილი აქვს პროფესიული გადამზადების პროგრამა „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“.

მაგისტრის საგანმანათლებლო ხარისხით

გიორგი მემანიშვილი სხვადასხვა წლებში მუშაობდა შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლაში, სსიპ ქუთაისის №11 და ზესტაფონის №4 საჯარო სკოლებში ფიზიკის მასწავლებლად, ამჟამად მუშაობს სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქ. ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში, ქ. ქუთაისის №9 საჯარო სკოლაში—ფიზიკის მასწავლებლად.

სტაჟირება შვეიცარიაში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამოაცხადა საქართველოს საჯარო სკოლების ფიზიკის მასწავლებლების კონკურსი შვეიცარიის ქ. ჟენევაში მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში ერთკვირიან (2024 წლის 17-24 მარტის) სტაჟირებაზე გასაგზავნად. გამოცხადდა კონკურსის პირობები, კონკურსზე წარსადგენი პირობები და საპრეზენტაციო საკითხები: სამყაროს წარმოშობისა და განვითარების თანამედროვე მეცნიერული თეორიები; ელემენტარული ნაწილაკების კლასიფიკაცია და მათი ურთიერთმოქმედების აღწერა; ახალი აღმოჩენები ფიზიკაში და მათი მნიშვნელობა; ცერნი—მისია, დანიშნულება, ექსპერიმენტები.

და გააგზავნა გიორგიმ პრეზენტაცია და სხვა საჭირო დოკუმენტაცია. მალე მოვიდა გასაუბრების შედეგი: „შვეიცარიაში, ბირთვული კვლევის ევროპულ ცენტრში წარსაგზავნი მასწავლებლების შერჩევის მიზნით, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 1 თებერვლის №103-619 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა დროებითი კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით, თქვენ მოიპოვეთ ჟენევის ბირთვული კვლევის ევროპულ ცენტრში ერთკვირიანი სტაჟირების უფლება“.

ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლამ პირველმა მიულოცა გიორგის ეს წარმატება. სტაჟირების ეს ერთი კვირა გიორგისათვის იყო საინტერესო, სიახლეებით სავსე. მას ჰქონდა შესაძლებლობა გაეღრმავებინა ცოდნა, მიეღო გამოცდილება, რომელსაც გიორგი გამოიყენებს სკოლებში სწავლების დონის ამაღლების, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამოცანების კიდევ უფრო უკეთ შესასრულებლად. როგორც კოლეგებმა უსურვეს „შვეიცარიაში გატარებული ერთი კვირა აუცილებლად სასიკეთოდ წაადგება გიორგის მოსწავლეებს“.

გიორგის და საქართველოდან ჩასული პედაგოგებისათვის სტაჟირების დღეები იყო შთაბეჭდილებებით სავსე. მათ ჩაუტარდათ სასწავლო ლექციები თანამედროვე ფიზიკის საკითხებში, ცერნში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ფიზიკოსების მიერ. მოუსმინეს ქართველ ფიზიკოსებს: ირაკლი მინაშვილს, ალექსი მესტვირიშვილს, გივი სეხნიაშვილს, ქ. ბერნის ერთ-ერთი კოლეჯის ფიზიკის ქართველ მასწავლებელს ირმა მგელაძეს, გაეცნენ ფიზიკის სწავლების მისეულ მეთოდს, დაათვალიერეს სხვადასხვა ლაბორატორიები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, ნახეს ქალაქის მუზეუმები და ღირსშესანიშნაობები. სტაჟირების დასასრულს მასწავლებელთა პროგრამის ხელმძღვანელმა ჯეკ ვაინერმა მონაწილეებს გადასცა სერთიფიკატები—ასეთი ყოფილა ერთკვირიანი სტაჟირება—როგორც ამას ფიზიკა-მათემატიკის, გიორგის საამაყო სკოლა იუწყებოდა—№41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორი გენადი მარგველაშვილი და გიორგი მემანიშვილი შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ შვეიცარიიდან.

ცერნის შემდეგ—ორმხრივი ურთიერთობების შედეგები

ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლასა და პოლონეთის ქ. პოზნანის №38 ორენოვან ლიცეუმს შორის ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები მიწვევით იმყოფებოდნენ ქ. პოზნანში, საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ორგანიზებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას იღებდნენ პოლონეთის, ესპანეთის, იტალიისა და გერმანიის სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები: ბექა ბაბუნაშვილი, ნინი გაბუნია, ანა მუშკუდიანი, ლიზი ცირეკიძე, ლუკა კვანტალიანი, ლუკა ფორჩხიძე, ზაურ ჩუბინიძე. პედაგოგები: მაია უფლისაშვილი, გიორგი მემანიშვილი, ეკა მარგველაშვილი, ნინო ბაკურაძე, ნანა ბაკურაძე, დირექტორის მოადგილეები: ინგა კახიანი, ია ვერულაშვილი. ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია გაეცნო სკოლის ინფრასტრუქტურას, სასწავლო პროცესს. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ინტეგრირებული საბუნებისმეტყველოი განათლების“ ფარგლებში მოსწავლეები დაესწრნენ ქიმიისა და ფიზიკის ინტეგრირებულ გაკვეთილს, ქუთაისელი მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი აქტივობებში და გამოავლინეს ცოდნა ყველა ექსპერიმენტსა და პროექტში. სამეცნიერო კონფერენციაზე კი ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს საინტერესო თემები. ქართულმა დელეგაციამ დაათვალიერა კოპერნიკის მშობლიური ქალაქი ტორუნი, პლანეტარიუმი და პოზნანის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

ვიზიტის ბოლოს 2024 წლის 12 აპრილს პოზნანსა და ქუთაისს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეები ითანამშრომლებენ მრავალ და საინტერესო საკითხებში. დაიგეგმა პოლონეთის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში.

გაცვლით პროგრამაში მიღებულმა გამოცდილებამ გააღრმავა ორმხრივი ურთიერთობა და ნაყოფიერი იქნება იგი დელეგაციის წევრებისა და გიორგი მემანიშვილისათვისაც.

გიორგი მემანიშვილის კიდევ ერთი პრეზენტაცია

ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის და ოცხელის სახელობის ქუთაისის №2 საჯარო სკოლების ერთობლივი ხელმძღვანელობით ქუთაისს ეწვია ცნობილი ქართველი ფიზიკოსი, მაღალი ენერგიების ექსპერიმენტული ფიზიკის დოქტორი—ალექსი მესტვირიშვილი, რომელიც 1996 წლიდან თანამშრომლობს CERN-თან. ამასთან იგი არის აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი და 2005 წლიდან მუდმივად მუშაობს CERN-ში.

შეხვედრა №2 საჯარო სკოლის დირექტორმა ბატონმა მურად ჯიშკარიანმა გახსნა. ღონისძიებას უძღვებოდნენ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორი გენადი მარგველაშვილი და ამავე სკოლის მასწავლებელი გიორგი მემანიშვილი. გიორგიმ წარმოადგინა პრეზენტაცია „CERN-ი და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა“. ისაუბრა ცერნის მისიაზე—დიდი აფეთქების საიდუმლოებაზე, ახალი ტექნოლოგიების განვითარებაზე და ა.შ. შეხვედრაზე მეცნიერმა ალექსი მესტვირიშვილმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი გამოცდილება, მათ მიიღეს ინფორმაცია უნიკალურ ექსპერიმენტებზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მიღწეულ წარმატებებზე, პერსპექტივებსა და საინტერესო პროექტებზე.

გიორგი მემანიშვილი მოსწავლეობის პერიოდში—რა თქვეს მასზე

დავით ჩუბინიძე—გიორგის ფიზიკის მასწავლებელი: „ერთხელ სამუშაო ადგილიდან დროებით გასული კალატოზის ჩანაცვლება მოვინდომე. იგი ქვისგან კედელს აშენებდა. ავიღე, ვატრიალე ქვა ხელში, მაგრამ კედელში მისი მოხერხებულად დასმა ვერ შევძელი. მოვიდა ოსტატი და ხელის ერთი მოძრაობით ისე კოხტად დადო ქვა, უკეთესს ვერ წარმოვიდგენდი. ასეთ „ოსტატად“ გაიზარდა გიორგი.

შეიძლება მთელი ცხოვრება შეალიო იმ პროფესიის და საქმიანობის მიგნებას, რომლის კეთება გიყვარს და შეგიძლია, გიორგიმ ეს მოკლე დროში შეძლო. შეიძლება მიაგნო და ისევ დაკარგო, თუ ამ საქმის კეთების სიყვარული, ნიჭი და შრომისმოყვარეობა არ გაქვს—ესეც მომადლებული აქვს გიორგის.

ნათქვამ სიტყვაში და ნაკეთებ საქმეში ჩანს პიროვნება. მასწავლებლებმაც აღმოაჩინეს გიორგი—ცოდნით, ნიჭით, სიკეთით, სიყვარულით სავსე. ძალიან კარგი იყო გიორგი, სწორედ გიორგისთანა პედაგოგები ჭირდება დღეს ქვეყანას“.

***

მასწავლებლის უპირველესი დანიშნულება მაინც სკოლა და გაკვეთილებია. გიორგი კარგად იყენებს ცოდნას, გამოცდილებას, ჯერ თვითონ სწავლობს, მერე ასწავლის. გიორგის მოსწავლეები გამორჩეულები არიან, წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს სასურველ უნივერსიტეტებში და ზრუნავენ კარიერულ წინსვლაზე.

***

გიორგი და მისი ძმა რამაზი თერჯოლაში კარგად ცნობილ ოჯახში გაიზარდნენ. მშობლებმა—შორენა ბოჭორიშვილმა და რეზო მემანიშვილმა ყველაფერი საუკეთესო მისცეს. მათ იცოდნენ, რომ ბავშვის ბუნება საიდუმლოა და ყოველთვის კარგად გამოიცნობდნენ ხოლმე ამ საიდუმლოს, მის მიხედვით ერთვებოდნენ აღზრდის პროცესში. მიაჩნდათ, რომ არ არსებობს ცალკე ოჯახი და ცალკე სკოლა, ისინი ერთი მიზნისკენ მამავალი პროცესებიაო, ბიჭებიც, სახლში მშობლებისაგან, სკოლაში მასწავლებლებისაგან იღებდნენ მაგალითს. ოჯახის აღზმრდელობითი შესაძლებლობები კი დღესაც არ დაქვეითებულა, გულისყური მუდმივად მიქცეულია—ტრადიციებისაკენ, უფროს-უმცროსობის ზნეობრივი ფუნქცია ძალაშია. სიძნელეები, რომლებიც ცხოვრების თანამდევი პროცესია, ვერ ახდენენ გავლებას მემანიშვილ-ბოჭორიშვილის ოჯახზე.

***

თერჯოლას ეამაყება გიორგი მემანიშვილი. იგი ჩვენია—მისი თვითგამორკვევის პროცესი აქ თერჯოლაში დამთავრდა, იცოდა, როგორი იქნებოდა მისი როლი და ადგილი ცხოვრებაში.

სწორედ ამიტომაც ვამაყობთ მისი წარმატებით, სადაც არ უნდა მოღვაწეობდეს.

ჟუჟუნა ცხადაძე

ჩვენთან არს ღმერთი!

საუკუნის შემდეგ გოფანმთას წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა აღესრულება...

სასაფლაოს იდუმალ სიჩუმესა და გარინდებას თავისთავად მოაქვს სინანულის, მოწიწების, უღრმესი პატივისცემის განცდა, თუმცა არაფერი შეედრება იმ გრძნობას, როცა სიჩუმეს ეკლესიის ზარების რეკვა, წირვა-ლოცვისა და გალობის ხმები არღვევენ...

გოფანმთას სასაფლაოზე წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში დიდი ხნის შემდეგ ნანატრი წირვა-ლოცვა კვლავ აღევლინა. მადლობა უფალს, მადლობა წმიდა გიორგის და მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელთა ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით შუა საუკუნეებში აგებულ გოფანმთას ტაძარს პირვანდელი სახე დაუბრუნდა და დღეს მოქმედ ტაძართა რიგებს შეემატა.

სამარცხვინოა და გასახსენებლად მტკივნეული ის საშინელი ნგრევა-გაპარტახების პროცესი ჩვენს წმიდათა-წმიდა სალოცავებში, მეოცე საუკუნის 30-50 წლებში რომ დატრიალდა ქვეყანაში, და მათ შორის, ჩვენს რაიონში.

ქრისტე ამბობდა: **„ყველა ადამიანში ზის სატანა, საჭიროა მისი განდევნა, რადგან იგი, ადამიანი ღვთისნიერი და ზნეობრივად განწმენდილი გახდესო“**. ამის მიღწევა კი მაშინ შეუძლებელი იყო. ჩვენს წინაპრებს ახსოვთ ის შავ-ბნელი პერიოდი, ჩვენ კი გადმოცემით ვიცით, როცა სასტიკად იკრძალებოდა ღმერთის ხსენება და რელიგიისადმი თაყვანისცემა, როცა ხელისუფალნი ღმერთზე და ეკლესიაზე იერიშით

ცდილობდნენ ერთიცა და მეორეც ხალხისათვის ჩამოეშორებინათ.

შედეგი სავალალო აღმოჩნდა, დანგრეული, გაძარცვული და გაპარტახებული სალოცავები, ეკლესია-მონასტრები, აკრძალული ღვთისმსახურება და სულიერების, რწმენის გარეშე დარჩენილი ადამიანები—ასეთი იყო რეალობა.

დიახ, ეს აქ, ჩვენ სამშობლოში ხდებოდა, უძველესი ქრისტიანული ქვეყნის მიწა-წყალზე, იმ ქვეყანაში, სადაც სარწმუნოებისათვის თავდადების უამრავი მაგალითი იცის ისტორიამ.

ღმერთისა და რწმენის გარეშე დარჩენილ ადამიანებს საკუთარი ხელით დაანგრევინეს სალოცავები. ასეთი ბედი ეწია გოფანმთას წმიდა გიორგის ეკლესიას.

როგორც გადმოცემით ვიცით, მას „კომკავშირლები“ მიუსიეს და მისი ნანგრევებით კიდევ უფრო მძიმე ცოდვა აჰკიდეს უგუნური მოსახლეობის ნაწილს, რომლებმაც ნანგრევები სახლში წაიღეს და გამოიყენეს, ნაწილი კი კომპარტიის შენობის მშენებლობას მოახმარეს.

თაობები წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომლებიც ახლა აქ, ამ წმიდა ადგილზე განისვენებენ, მათ თან გაიყოლეს სინანული და გულისტკივილი ეკლესიის დანგრევის გამო, თან გაიყოლეს ოცნებაც მისი აღდგენა-განახლებისა, წმიდათა-წმიდა სალოცავში წირვა-ლოცვისა, მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი და სხვა მნიშვნელოვანი საეკლესიო რიტუალების აღვლენისა, რასაც კარგა ხანი მოკლებული იყო აქაური მოსახლეობა.

ამიერიდან გოფანმთას წმიდა გიორგის ტაძრის ზარები მრევლს უხმობს!

მნიშვნელოვანი და საზეიმო დღე იყო თერჯოლაში 2024 წლის 20 ივნისი, როცა მრავალი წლის შემდეგ ტაძარში მრევლი კვლავ შეიკრიბა. მობრძანდნენ სასულიერო პირები უდიდესი საპატიო მისიით. თითქმის საუკუნის შემდეგ წესისამებრ აღესრულა აღდგენილი ტაძრის კურთხევა და წირვა-ლოცვა.

საკურთხეველთან იდგნენ თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი (შალამბერიძე), თერჯოლის ხარების სახელობის ეკლესიის წინამძღოლი, ამიერიდან პარალელურად ამ ტაძრის წინამძღოლი მამა ქრისტეფორე (ცერცვაძე)... აქ არიან სტიქაროსნებიც, მგალობლებიც და მრევლიც, რომლებიც დიდი ხანია მოელოდნენ ამ დღეს.

ტაძრის კურთხევას ესწრებოდნებ ის ადამიანებიც, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ტაძრის აღდგენა-განახლების საკითხის ზემდგომ ორგანოებში გადაწყვეტაში, რაც არ იყო ადვილი მისაღწევი, თუმცა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო.

უფლის ნებითა და შემწეობით თემურ ქოჩიაშვილს (იმდროისათვის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი), გურამ თურქაძეს (მაშინდელი გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი), ალიკო ქოჩიაშვილს (თბილისში მოღვაწე თერჯოლელი), გიორგი ხაბეიშვილს (კულტურის მემკვიდრეობის ცენტრის თანამშრომელი) ეს ფაქტი ყველაზე მნიშვნელოვან გასახსენებლად დარჩებათ თავიანთი განვლილი ცხოვრების გზაზე. ტაძრის აღდგენის სამუშაოები იტენსიურად 2017 წელს დაიწყო, 2018 წლის ბოლოს კი უკვე გადაიხურა.

ტაძრის კურთხევის პროცესს შეუერთდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერიისა და საკრებულოს სხვა წარმომადგენლები.

ტაძარში სანთლებისა და საკმეველის საოცარი სურნელება ტრიალებდა. არის იმედი, სიხარული და განცდა მომავალი დღეებისა, როცა აქ, უფლის სახლში წირვა-ლოცვა სისტემატურად ჩატარდება და ადამიანები ყველაზე უფრო ბედნიერად, დაცულად და მომავლისადმი რწმენით აღვსილნი იგრძნობენ თავს.

ტაძრის კურთხევის დღეს პირველი „ზიარებაც“ შედგა. უფლის ეს საჩუქარი ბავშვებს: გიორგი და საბა ქოჩიაშვილებს, დამიანე და ალექსანდრე კოხიაშვილებს ერგოთ წილად... ☞8

ვიცოდეთ ჩვენი გვარის ისტორია

ქვეყნის სამსახურში იყვნენ აზნაური მარუაშვილები

რედაქციაში გადავწყვიტეთ, რომ მკითხველს პერიოდულად გავაცნოთ ჩვენი გვარების ისტორიები. მხედველობაში გვაქვს ის გვარები, რომლებიც დღეს სახლობენ ჩვენს მუნიციპალიტეტში. ვთქვით, რომ ყველა ჟურნალისტს პირველად თავისი გვარის შესახებ მოეთხრო.

ეს დათქმა ყველაზე ადრე ჟურნალისტმა იუზა მარუაშვილმა შეასრულა და ამ რუბრიკას სწორედ მისი წერილით ვხსნით, თავად ავტორს კი ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებთ.

რომელი გვარია საქართველოში, ვის წინაპარსაც დამსახურება არ ჰქონდეს მამულის წინაშე, ვისი თავდადების მადლიც არ იყოს აქამდე რომ მოვიდა მრავალჭირნახული ქართველი ერი.

პირადად ჩემთვის და ჩემი ახლობლებისათვის სასიხარულოცაა და საამაყოც ასეთთა შორის რომ არიან მარუაშვილები. რაც შეეხება აზნაურულ წარმოშობას, არც როდესმე მომიწონებია თავი, რადგან მთავარია კაცი იყო და კაცად ვარგოდე. ხომ გაგიგონიათ—„ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი კაცად არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობაო“.

ისე თუ კაცი კაცად ვარგიხარ და გვარიშვილობაც ხელს გიწყობს, ამას რაღა სჯობს. მით უფრო, რომ თავადაზნაურობა ადრეულ საუკუნეებში ყოველთვის ერის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენდა. ადამიანს თავადობა ან აზნაურობა დედის მუცლიდან კი არ დაჰყვებოდა, ამ წოდებას თითოეული სამეფო ხელისუფლებიდან ჯილდოს სახით იღებდა მამულის წინაშე დამსახურებისათვის.

ამას ქვემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითიც ცხადყოფს, კერძოდ, მარუაშვილების გააზნაურება სოლომონ ქართველთა მეფეს და მისი მეთაურობით გადახდილ, მეორე დიდგორად წოდებულ, ხრესილის ომს უკავშირდება.

სოლომონ პირველის მეფობის ხანა 1752-1784 წლებია. ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის და ბრწყინვალე სარდლის დამსახურებაზე ისტორია ღაღადებს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მას მიანიჭა თიკუნი: სოლომონ ქართველი მეფე, „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე“.

გარდა იმისა, რომ 1857 წლის 14 დეკემბერს, ხრესილის ვიწროებში (ტყიბულის რაიონი) შემოიტყუა და სასტიკად დაამარცხა თურქთა უზარმაზარი ლაშქარი, მან საბოლოოდ ამოუძირკვა ფეხი დასავლეთ საქართველოში თურქთა ბატონობას, აღკვეთა ერის დამაქცევარი სენი—ტყვეთა სყიდვა.

ვერსიას, მარუაშვილების გვარის წარმოშობისას, თავის დროზე, ხრესილის ომთან კავშირში, აყალიბებდა ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, სულგანათლებული გივი მარუაშვილი, მაგრამ საჯაროდ არ გაუხმაურებია: როგორც ჩანს არ ჰქონდა დამადასტურებელი წყაროები. ეს წყაროები, სათანადო დოკუმენტების დართვით, წარმოადგინა ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარმა ალექსანდრე (სანდრო) მარუაშვილმა. ბატონი სანდრო ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩის მკვიდრია. არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის NEWVNI-ის ასოცირებული პროფესორი. თსუ მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, მკვლევარი...

აი, მისი ვერსია საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით: 1757 წლის 14 დეკემბერს, ხრესილის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, იმერეთის მეფემ, სოლომონ პირველმა, როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო, გადაწყვიტა ომში გამოჩენილი მამაცობისათვის დაეჯილდოებინა მებრძოლები. მრავალთაგან სამი აბჯარასხმული მეომარი წარუდგინეს. სამეფო დარბაზში, წესისამებრ, მეომრები იარაღაყრილი უნდა შესულიყვნენ, სახლთუხუცესმა მეფეს მოახსენა, რომ იმ სამი მეომრიდან ერთი აბჯარ-იარაღს არ იყრისო. მეფე დაინტერესდა და თვითონ გამოვიდა მათთან. გაირკვა, რომ ვაჟებს შუა ჩამდგარი მეომარი მათი დედა იყო და ვინაობის გამჟღავნება არ უნდოდა. მეფემ გაიგო რა სინამდვილე, არ აკადრა გმირ დედას აბჯარ-იარაღის აყრა. იგი აღმოჩნდა ვინმე საყვარელიძის ქვრივი, სახელად მარო, რომელიც თავის შვილებთან—პაატასა და ხახულთან ერთად მამაცურად იბრძოდა. მოისმინა და გამოარკვია რა მეფე სოლომონმა მათი გმირობის ამბავი, მოიხიბლა ფრიად და ბრძანა: **„ქ. წყალობითა ღმრთისაითა დავითიან—ბაგრატიონი მეფე სრულიად ლიხთამერთა სოლომან, ვამტკიცებ ნებითა ღმრთისაითა და შემდგომთა ჩემთა განვაკრძალებ, რათა არავინ იკადროთ შლად ამისა, გამოცხადდეს ჩვენისა გამარჯვებისა გმირებად მარო და შვილნი მისნი პაატა და ხახული, ძენი სულკურთხეული საყვარელიძისა, ეწოდოთ მათ ამიერიდან მაროს შვილნი და გვარი მათი მარუაშვილნი, ამერთა მეფის ტახტის აზნაურობა, სამფლობელოდ შინა ოფჩაში. ქრისტეს აქეთ ჩღნზ (-1757 წ) დადასტურებულია მეფის ბეჭდის დასმით და ხელმოწერით: კეთილ ძირთაგან რტოიანი მეფედ ვარ ბაგრატიონი სოლომონ“.**

ასე, რომ მეფე სოლომონ პირველმა მებრძოლი დედის, მაროს საპატივცემულოდ ახალ საგვარეულო განშტოებას—მარუაშვილებს დაუდო საფუძველი. ამასთან, ძმების—პაატა და ხახულ მარუაშვილების ობჩაში დამკვიდრება და მათთვის სამეფო აზნაურების ტიტულის ბოძებაც სოლომონ მეფის ბრძანებას ეყრდნობა.

აი, ეს სიგელ-გუჯარიც:

„ქ ჩვენ მღვდლის მიერ კურთხევით აღმატებულმა ძრიელმა და მღვდლით არვისაგან ძლეურმან, ღვთის ზეცით გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემ პატრონმა სოლომონ: დათანა მეცხედრემან ჩვენმამ, კეთილად შობილმან დედოფალთ დედოფალმა დადიანის ასულმა ბატონმა მარიამ: ესე წყალობის საბოლაოდ გასათავებელი საფიცარი წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ჩემს აზნაურიშვილს პაატას და ხახულ მარუაშვილს, თქვენს შვილსა და მომავალსა გიბოძეთ ოფჩას დავით პაპინეიშვილისა და მისი შვილისეული სასახლე, და პარტახი მისი მამულ ადგილით ჭურ-მარნით საფლავ სამარხით ტყითა და ველით მთითა და წყლით, მისის ყოვლისფერით საძებრითა და უძებრით. თქვენთვის გვიბოძებია მკვიდრედ და უცილებლად. ღმერთმან ჩვენს ერთგულებასა და სამსახურშიდ მოგახმაროს, თუ თქვენ ჩვენი ერთგული იყოთ ეს ჩვენგან ბოძებული წყალობის წიგნი აღარაოდეს მოგეშალოსთ: კაცთაგან ამისი გამრიგე თავად ბიძა ჩემი ბატონიშვილი ბატონი მამუკა მოწამე, წულუკიძე პაატა და ბერი მხეიძე ვახუშტი, ბერი ლასხიშვილი, აბაშიძე ბერი, თამაზა მესხი, მოურავი ბეჟან გამყრელიძე, სვიმონ ქავთარაძე. დაიწერა მდივნის ჩვენის დათუნას ხელით ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ღ ნ ც — 1758 წ. ბეჭედი“.

რაც შეეხება საერთოდ თავად-აზნაურობის წარმოქმნას და მათ როლს ქვეყნის ისტორიაში, ამაზე აქვს განმარტებული გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს თავის ნაშრომებში, რომელთაც შემდგომ გაგაცნობთ.

სამოცდაათი არაფერია ბატონო კოტე!

კონსტანტინე (კოტე) ჩარექიშვილს სამოცდაათი წელი შეუსრულდა, მაგრამ მიუხედავად ავადმყოფობისა მაინც მხნედ, ვაჟკაცურად გამოიყურება, არა, კი არ გამოიყურება, ჭეშმარიტად არის ასეთი.



კოტემ მიიღო მამის, რაიონში კარგად ცნობილი კაცის, ანტონ ჩარექიშვილის რჩევა და საქართველოს ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტი დაამთავრა, სწავლის პერიოდშიც აქტიური და გამორჩეული იყო. მონაწილეობდა ქალაქის პირველობაზე კალათბურთსა და ხელბურთში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავის სტუდენტობისდროინდელ გამოცდილებას ჩხარის საშუალო სკოლის მოსწავლეებს უზიარებდა, ახლა, უკვე, როგორც პედაგოგი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თერჯოლის №2 საშუალო სკოლაში, განათლების განყოფილებაში მეთოდისტად, თერჯოლის საკრებულოში სპორტულ ღონისძიებათა მუშაობის ორგანიზატორად, განათლების განყოფილებაში ფიზიკური აღზრდის მეთოდისტად. განათლების სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს მეთოდისტი მასწავლებლის წოდება (ამ ტიტულის ფიზიკური აღზრდის პედაგოგთაგან მხოლოდ კოტე ფლობს). 2005 წელს კოტე გადაჰყავთ თერჯოლის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ, 1988-2020 წლებში ჩხარის საშულო სკოლის ფიზაღზრდის პედაგოგია. წლების განმავლობაში იყო საზოგადოება „ცოდნის“ შტატგარეშე ლექტორი, მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, გაზეთების „ლელოს“ და „თერჯოლის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდადა ქვეყნდება დღესაც მისი წერილები რაიონში ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებზე. ბატონი კოტეს აღსაზრდელები მრავალჯერ არიან გამარჯვებულები რაიონისა და საქართველოს მოსწავლეთა პირველობასა და სპარტაკიადებში, მოპოვებული აქვს მრავალი დიპლომი, ვიმპელი და სხვადასხვა სახის მედლები. მისი ყოფილი მოსწავლეები: გია ფანჩულიძე, გივი უკლება წარმატებით იცვავდნენ თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, ტყიბულის „მეშახტის“ და თერჯოლის „საპოვნელას“ ფეხბურთელთა გუნდების ღირსებას. 2019 წელს ჩხარის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (ოთხი გოგონა, ოთხი ბიჭი) შემოქმედებით-შემეცნებით სასკოლო ოლიმპიადაზე თემამ: „ქართველი ქალი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე“ გაიარა სამი—რაიონული, რეგიონალური და დასკვნითი ეტაპი და ჟიურიმ მიანიჭა მეორე საპრიზო ადგილი, მოსწავლეები დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროს და ოლიმპიური კომიტეტის მიერ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლით და ფასიანი საჩუქრებით. თვით კოტეს კი ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე პრეზიდენტმა და ცნობილმა ჟურნალისტმა ელგუჯა ბარიშვილმა საჩუქრად გადასცა მის მიერ გამოცემული ორტომეული ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიის შესახებ. დაჯილდოებულია განათლების სამინისტროს მიერ სხვადასხვა ხარისხის დაპლომებით.

კოტე ახლა პენსიაზეა, მაგრამ მოსწავლეებს, სკოლას, გაკვეთილებს ვერ შეელია, ჩხარის №1 საჯარო სკოლაში სპორტული სკოლის სექციას ხელმძღვანელობს კალათბურთში, ჰყავს პერსპექტიული მოსწავლეები, რომლებიც რაიონის პირველობას არ თმობენ. ხვდებიან მეზობელი ქალაქებისა და რაიონების თანატოლებს და წარმატებებს აღწევენ. მოსწავლეები ქეთი ჩიხაძე (ჩხარი), ბარბარე კლდიაშვილი (თერჯოლა №1) თამაშობენ საქართველოს პირველობაზე ქ. ზესტაფონის ნაკრებ გუნდში.

კონსტანტინე ჩარექიშვილი თერჯოლაში კარგად ცნობილი, აწ გარდაცვლილი ანტონ ჩარექიშვილის შვილია, ისიც სპორტით იყო გატაცებული, თანამშრომლობდა გაზეთთან, საინტერესო წერილები მოჰქონდა, გარკვეული იყო რაიონის, რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების საკითხებში. კოტეს ოჯახში თავმოყრილია გამოჩენილი ქართველი და სხვა ქვეყნების გამოჩენილ სპორტსმენთა ფოტოსურათები, სპორტული ცხოვრების ამსახველი მასალები, სუვენირები, ჟურნალ-გაზეთები, ეს ოჯახის მიკროსპორტული მუზეუმია და მის შექმნაში დიდი წვლილი აქვს ჩადებული ბატონი კოტეს შვილს ტატოს, იგი ღირსეული ბაბუის და მამის კვალს მიჰყვება, სპორტის დიდი მოყვარულია.

ბატონი კოტე სამოცდაათი წლის გახდა, წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, იგი ჭირდება ჩვენ სასიქადულო ახალგაზრდებს, სპორტისმოყვარულთ, სკოლებს — მისი დიდი გამოცდილება.

ვულოცავთ ბატონ კოტეს იუბილეს და წარმატებას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებთ.

„თერჯოლა“

სპორტული სასწავლო წელი დამთავრდა

წარმატებული იყო წლევანდელი სასწავლო წელი თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამანჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენებისათვის.

წლის დასაწყისიდან, ვიდრე მაისის მეორე დეკადის ბოლომდე, ამ წარმატებათა თაობაზე „თერჯოლა“ დაწვრილებით უკვე წერდა. ამჯერად გთავაზობთ სკოლის სპორტულ შედეგებს მაისის მესამე დეკადიდან ინვისის ჩათვლით.

25-26 მაისი. ქ. მესტია. ლერი ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალიცენზიო შეჯიბრება ჭიდაობა ძიუდოში.

გიორგი ლომოტაშვილი 60 კგ. მეორე ადგილი, თემურ ბუცხრიკიძე 55 კგ. მესამე ადგილი.

24-26 მაისი. ქალაქი ქუთაისი. აკაკი ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

გოჩა ნიკოლაძე (35 კგ), გიორგი ნიკოლაძე (38 კგ), გაბრილ ნიკოლაძე 40 კგ. პირველი ადგილები. მოსე ამბრილაძე 47 კგ. მეორე ადგილი. გიგა შარვაშიძე (41 კგ), ზაური ქასრაშვილი (70 კგ), მათე ნიკოლაძე 38 კგ. მესამე ადგილები.

2-3 ივნისი. ქალაქი ბათუმი. საერთაშორისო ტურნირი კარატეში.

გიორგი რობაქიძე 65 კგ. პირველი ადგილი, გოჩა ჩაფიძე (70კგ), ნიკო გაბრიჭიძე (45 კგ), სანდრო ფანჩულიძე (40 კგ) მეორე ადგილები.

6-7 ივნისი. ქალაქი ვანი. ანრი გიორგაძის ხსოვნის მე-2 რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

რეზო ხაჭაპურიძე 22 კგ. პირველი ადგილი. ზურა ბოჭორიშვილი 32 კგ. მეორე ადგილი. დათო ლომიტაშვილი (35 კგ), საბა სულამანიძე (55 კგ), თემურ ბუცხრიკიძე (55 კგ), გიორგი ლომიტაშვილი (60 კგ) მესამე ადგილები.

7-8 ივნისი. ქალაქი დუშეთი. ზაურ სიდამონიძის და ჯემალ გელაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

ნიკა ბრეგაძე 66 კგ მეორე ადგილი. რატი ზარნაძე 81 კგ. მესამე ადგილი.

8-9 ივნისი. ქალაქი თბილისი. საერთაშორისო ტურნირი კარატეში.

გოჩა ჩაფიძე 61 კგ. მესამე ადგილი.

15-16 ივნისი. ქალაქი დუშეთი. 300 არაგველის სახელობის ღია ტურნირი „სანდა უშუში“.

გუგა დიაკონიძე 87 კგ. პირველი ადგილი. დიმა მაცაბერიძე 58 კგ. მესამე ადგილი.

14-16 ივნისი ქალაქი ბათუმი აჭარის ღია პირველობა სპორტულ აკრობატიკაში:

მესამე ადგილი დაიკავეს გოგონათა ორეულმა: ირინა გეწაძემ, ბარბარე მარუაშვილმა.

მესამე ადგილი დაიკავეს გოგონოთა სამეულმა ნინი სახელაშვილმა, მარიამ მოდებაძემ და ბარბარე მაკარიძემ.

მეორე ადგილი დაიკავეს დიდების III თანრიგოსანთა შორის გოგონათა წყვილებში—სოფო გიორგაძემ და ბარბარე ზარნაძემ.

მეორე ადგილი დაიკავეს გოგონათა წყვილმა პატარების II თანრიგში—თეკლა ფანჩულიძემ და ქრისტინა ძოწენიძემ.

მეორე ადსგილი დაიკავეს გოგონათა სამეულმა ნია ჭანტურიძემ, ანა ვაჭარაძემ და ლიზი ექსეულიძემ.

მესამე ადგილი დაიკავეს გოგონათა წყვილებმა პატარების პირველ თანრიგში. ანი ქოჩიაშვილი და ბარბარე მაკარიძემ.

12-14 ივნისი. ქალაქი ბაღდათი. ლევან ებანოიძის და ავთანდილ გურგენიძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

საბა კუტალაძე (48 კგ), გიორგი გიორგაძე (57 კგ) მესამე ადგილები.

18-20 ივნისი. ქალაქი ჭიათურა. ბეჟან ყაველაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში.

ლუკა კირკიტაძე 60 კგ. მეორე ადგილი. ზურა ბოჭორიშვილი (50კგ), ტარიელ გამეზარდაშვილი მძიმე წონა, რეზი ხაჭაპურიძე (22 კგ) მესამე ადგილები.

12-15 ივლისი ქალაქი თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში.

11-16 საერთაშორისო პროგრამა—გოგონათა წყვილები.

მესამე ადგილი დაიკავა ირინე გეწაძის და ბარბარე მარუაშვილის წყვილმა.

11-16 საერთაშორისო პროგრამა—შერეული წყვილები

მეორე ადგილი დაიკავა ნიკა ბუცხრიკიძის და ნიტა პეტრიაშვილის წყვილმა.

15-17 ივლისი. ქალაქი ბათუმი. საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

იური ჩაფიძე 51 კგ.— პირველი ადგილი, გიგა ჩაფიძე 51 კგ.— მესამე ადგილი.

იური ჩაფიძე მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართება იორდანიაში.

გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს: **ლერი რობაქიძემ, დიმიტრი გურგენიძემ, გიგა ჩაფიძემ, ირაკლი ღონღაძემ, მალხაზი თურქაძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, ონისე ბოჭორიშვილმა, ზურაბ გავაშელაშვილმა, გიორგი კირკიტაძემ, ლალი დიაკონიძემ, თამარ ხოჯაშვილმა.**

ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებსა და ახლობლებს.

ჩვენთან არს ღმერთი!

6 ☞

საუკუნის შემდეგ გოფანმთას წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა აღესრულება...

შემდეგ სასულიერო პირებმა მრევლთან ერთად ტაძრის გარსშემოვლით გამოხატეს სიყვარულსა და თაყვანისცემას უფლისადმი.

მრავალმხრივ საინტერესო იყო მეუფე გიორგის ქადაგება. მან გოფანმთას ტაძრის მოქმედ ეკლესიათა რიგებში ჩადგომა მიულოცა მრევლს და პირველი, რაც ისურვა იყო—უფრო მეტი ადამიანი სალოცავებში. მეუფემ ისაუბრა წარსულის მძიმე შეცდომებზე ეკლესიასთან დაკავშირებით. **„თუმცა „არის ჟამი ნგრევისა და არის ჟამი შენებისა“, აი სწორედ ასეთი შენებისა და განახლება-აღდგენის მოწმენი ვართ დღეს ჩვენ ყველანი და ვფიქრობთ, რომ ეს არის უაღრესად დიდი სიხარულის მომნიჭებელი. მადლობა უფალს ამ სიხარულისათვის“**—ბრძანა მეუფე გიორგიმ.

მან ასევე აღნიშნა, რომ **„ადამიანი ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი ფასეულობაა, იგი უფლის ნებით მოვლენილი არსებაა და მისი ხელყოფა დაუშვებელია. ქრისტე ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ძლიერება“, ადამიანები, ქრისტეს მცნებების მიმდევრები, არასოდეს ჩაიდენენ უმსგავსობას... მთავარია მათ არ გაწყვიტონ კავშირი ეკლესიასთან, რომელიც უფლის სახლია. რწმენა, გალობა, ლოცვა, მუდამ უნდა იყოს ეკლესიაში და აქ მოსული ადამიანები, აღივსებიან მადლით...“**

მეუფემ მადლიერებით მოიხსენია მამა თეოდორე (გამეზარდაშვილი) და ყველა ის ადამიანი, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ტაძრის აღდგენისა და განახლების საქმეში. მან მადლობა გადაუხადა კურთხევის პროცესის ყველა მონაწილეს, მრევლს, მგალობლებს, სასულიერო პირებს.

ყველაფერი კი უკვდავი „მრავალჟამიერით“ დასრულდა, სადაც მგალობლებს მრევლიც შეუერთდა და ულამაზეს, უპირველეს საგალობლის ჰანგებს ტაძრის კედლებმა მეტი ჟღერადობა შესძინა...

პირველი წირვა გოფანმთას ტაძარში

გოფანთას, წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი უკვე მოქმედია და აქ საეკლესიო მსახურებას თერჯოლა-ტყიბულის ეპარქიის გადაწყვეტილებით მამა ქრისტეფორე (ცერცვაძე) უწინამძღვრებს.

მამა ქრისტეფორე (ცერცვაძე) თერჯოლის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის წინამძღოლია მისი ამოქმედების დღიდან, მისი მსახურება გამორჩეულია და მრევლიც მუდამ მრავალრიცხოვანი ჰყავს. განსაკუთრებულად დატვირთული იყო მის მიერ მრევლის სააღდგომოდ მოსამზადებელი მსახურებისა და წირვა-ლოცვის რეჟიმი.

ამოუწურავი შესაძლებლობის, ენერგიის და ღვთისმსახურის საოცარი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული ადამიანი, რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება მისი დახასიათება.

13 ივლისი კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დღეა ტაძრის ისტორიაში, როგორც მოძღვარი ბრძანებს, **„ერთი საუკუნის განმავლობაში შეწყვეტილი წირვა-ლოცვის განახლება დიდი მოვლენა და სიხარულია, რომ ამ სიხარულისა და მოვლენის თანაზიარ ადამიანებზე, უთუოდ, უხვად გადმოდინდება უფლის მადლი და შეგვეწევა ჩვენ ყველას“.**

ტაძარში იმ დღეს გაცილებით მეტი ადამიანი მოვიდა. თითოეული ადამიანი მოხუცებული თუ ახალგაზრდა, ბედნიერია და ტაძრის გახსნასა და წირვა-ლოცვას ულოცავენ ერთმანეთს. მრავლად არიან ბავშვებიც ინტერესით და სიხარულით აღვსებული თვალებით... არიან სულ პატარებიც, ისინი მშობლებმა პირველი „ზიარებისათვის“ მოიყვანეს და კიდევ იმისათვის—ეკლესიის მადლსა და სურნელს აქედანვე შეჩვეულნი, გულითა და გონებით აღარასოდეს განეშორონ მის წიაღს...

ყველაზე პატარა 8 თვისაა, ყველაზე დიდი ქალბატონი კი 90-ს გადაცილებული. იმედია, ტაძარში მრევლის რიცხვი კვლავ გაიზრდება. ასეთ შემთხვევაში მოძღვარი ყოველ კვირაში ჩაატარებს წირვას, ხოლო რწმენითა და იმედით მოსული ადამიანები ზიარების შემთხვევაში სულისა და ხორცის კურნებასთან ერთად შეიძენენ ცოდნას როგორ იცხოვრონ ეკლესიურად, როგორ მოიპოვონ სიმშვიდე და ბედნიერება, როგორც ამქვეყნიურ წუთისოფელში, ისე სამუდამო განსასვენებელში.

წირვა 9 საათზე დაიწყო. ლოცვა, გალობა, საეკლესიო მსახურება ერთი დიდი რიტუალია, რომელიც თითქმის 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობს და რომლის ყოველი წუთი უფლის სიყვარულითა და ნეტარებით აღავსებს ჭეშმარიტ მორწმუნეს.

ტაძარში მყოფი ადამიანების ერთი ნაწილი აქამდე სხვადასხვა ეკლესიებში ესწრებოდნენ წირვას, თუმცა აქ იყვნენ ისინი, ვინც მოკლებული იყო ამ ბედნიერებას. მათ ერთი სული აქვთ ჩააბარონ უკვე „თავიანთ“ მოძღვარს აღსარება, სათანადოდ მოემზადონ და „ზიარებაც“ მიიღონ. რამდენიმე ადამიანმა ეს შეძლო და უხარია. სხვები კი დაელოდებიან შემდეგ წირვას და ეზიარებიან...

პირველი ზიარებული პირველ წირვაზე პატარა ნოე ჭანკვეტაძე იყო და შემდეგ კიდევ რამდენიმე პატარა. პირველად ეზიარა ასაკოვანი ქალბატონი ეთერ ღამბაშიძე-მაჩიტიძისა, რომელიც იყო უსაზღვროდ ბედნიერი.

მოძღვარმა წესისამებრ მრევლის მოწოდებული სიების მიხედვით ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა-მოხსენიების რიტუალიც შეასრულა.

მამა ქრისტეფორე გზადაგზა მრევლთან გასაუბრებას და გაცნობას ცდილობს და ასე თანდათან კავშირიც დამყარდება მოძღვარსა და მის სულიერ შვილს შორის, რაც ასე საჭირო და მნიშვნელოვანია. აღსარება, ხომ ის მომენტია, რომელიც შეიძლება შენს ახლობელსაც ვერ უთხრა, და სწორედ მოძღვარს უნდა გაანდო, რომელიც რჩევა-დარიგებით უფალთან დაგაკავშირებთ, შენდობისა და კურნების გზაზე დაგაყენებთ.

მრევლისა და მორწმუნეთათვის მრავალ საგულისხმო და საინტერესო საკითხზე გაამახვილა ყურადღება მამა ქრისტეფორემ თავის ქადაგებაში.

„დღეს უჩვეულო სიხარულის დღეა, ხარობს ყველა, დიდები და პატარები. არ არის ადვილი იმის გარკვევა, სად არის ჭეშმარიტი რწმენა და რატომ იმძლავრა უღმერთობამ. თუ არა უღმერთობა სხვა შემთხვევაში, ადამიანები, ჩვენი სისხლი და ხორცი ამ საშინელებას არ ჩაიდენდნენ, რაც ამ ეკლესიის შემთხვევაში და სხვაგანაც მოხდა იმ ავბედით წლებში, ცხადია, ღვთის დიდებას სრულად იშვითად თუ შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვაწლს გააცნობიერებს. სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში შემოქმედის ანუ უფლის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა, წინ წამოწია პრინციპი,—ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას, მაშინ, როცა სწორედ რწმენა და მის მიერი მცნებები განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც...

როცა ადამიანს რწმენა არ აქვს ნაკლებად შესაძლებელია მისგან სიკეთის კეთება და მსახურება, ხოლო სიკეთის მოკლებით გაჩენილ ცოდნათა ერთობლიობა არის ადამიანის ბუნების დაცემული მდგომარეობა... მხოლოდ ლოცვით, მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენით, მრავალგზის მონანიებით დაიძლევა ის მძიმე ცოდვა, რაც ამ ეკლესიის დანგრევით ჩაიდინეს ადამიანებმა, ხოლო წინაპართა ნამოქმედარზე, სამწუხაროდ, პასუხი შთამომავლობას მოეკითხება.

საუკუნის განმავლობაში წირვა-ლოცვის შეჩერება, მითუმეტეს, სადაც წმიდა ადგილის მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩა, ასეთ შემთხვევაში ითქმება „უპატრონო ეკლესას, ეშმაკები შეესია“... ჰოდა ახლა, თითოეულ ჩვენთაგანს გვმართებს ვიყოთ ტაძარში ბევრი, რათა განვდევნოთ ის ბოროტება ანუ ეშმაკები ჩვენი წირვით, გულმხურვალე ლოცვით და უფლის დიდებით გამოვისყიდოთ წინაპართა შეცოდება“.

მამა ქრისტეფორემ ისაუბრა აგრეთვე ეკლესიური ცხოვრების მომენტებზე, მარხვის მნიშვნელობაზე. მან თქვა: **„სურვილების აყოლა და განცხრომით ცხოვრება, გაუკუღმართებული აზროვნებისა და ადამიანში ხორციელი ცნობიერების მძლავრობის ნიშანია და საერთო არ აქვს ჭეშმარიტ რწმენასთან, რაც უმჯობესია დამყარებული იყოს გამოთქვაზე: „რაც არა გწადდეს იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასაო“...**

სხეული სულიწმინდის ტაძარი უნდა იყოს და არა გარეგნული რწმენის მატარებელი, ანუ ეკლესიაში სიარული, სანთლების დანთება და ა.შ. გულიდან, რწმენით უფლისადმი და ჭეშმარიტი თაყვანისცემიდან უნდა მოდიოდეს და არა სხვის დასანახად. სხვა მხრივ ჩვენი ქმედება ხომ ფარისევლობაა.

ურწმუნო ადამიანი ყველაფრის ჩამდენია, რაც ნამდვილად არ შეუძლია ქრისტეს მცნებების მცოდნესა და მიმდევარს“.

მაშ ასე: გოფანმთას ტაძარში ზარები რეკავენ, წირვა, ლოცვა, გალობა მიმდინარეობს. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველა თერჯოლელს, გილოცავთ ეკლესიის მიმდებარედ მცხოვრებ ოჯახებს.

როგორც წმინდა მამანი იტყვიან:

„მივართვათ მონანული, მოსიყვარულე და მადლიერებით სავსე გული, უფალს“;

„ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა, ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს ჩვენთან!“..

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872